ხობის მოამბე

„თვითმმართველობა უკიდეგანო ფასეულობაა საქართველოს ყოველი მოქალაქისთვის. საცა ერია ყველა ადამიანი, იქი ყველაფერი ხერხდება... ყოველი სახელმწიფო, რომელიც ფესვად ცოდნით თუ ცოდვად დაიქმნება, ხალხი-ხალხად ანის ყველაფერი, თორემ მოვალთ ყველა ანგარიშიც ადგილი იყოს.“

№17 (7076) 26 აგვისტო, პარასკევი, 2016 წელი.

ფასი 0,70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

28 აგვისტო მარიამობაა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. გილოცავთ!

ხობის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

გოჩა ქაჯაია: *ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

ხობის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება, – განუცხადა Guardian.ge–ს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ.

მისი თქმით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობის შედეგად 2016 წელს ხობში სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, განსაკუთრებული ყურადღება კი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეთმობა.

„ამ მიმართულებით წელსაც ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, მიმდინარეობს ქალაქ ხობის №1 და ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტები.

ქალაქ ხობში, ხუთ ქუჩაზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა.

მუნიციპალიტეტში „ენერგოპროჯორჯიამ“ განახორციელა 17 ადმინისტრაციული ერთეულის გამრიცხველიანება.

ამჟამად ეს პროცესი ორ სოფელში მიმდინარეობს. 2017 წელს გამრიცხველიანდება 3 სოფელი და ამით ხობის მუნიციპალიტეტში აღნიშნული მიმართულებით სამუშაოები დასრულდება“–განაცხადა გოჩა ქაჯაიამ.

გამგებლის ინფორმაციით, ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტებიდან ქალაქ ხობის ხუთ ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების გარდა, რომლის ღირებულებამაც 569 777 ლარი შეადგინა, ამჟამად ხორციელდება ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი, პროექტის ღირებულება კი 58 200 ლარს შეადგენს. ასევე მიმდინარეობს ქ.ხობის №1 საბავშვო ბაღის აღდგენა, პროექტის ღირებულება 488 888 ლარია; მიმდინარეობს ქალაქ ხობის კულტურის სახლისა და ქ. ხობის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია–პროექტების ღირებულება კი, შესაბამისად, 500 ათასი და 445 ათასი ლარია.

გოჩა ქაჯაიამ Guardian.ge–ს ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პროექტების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია. ესენია:

- ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ბონდის ხიდის რეაბილიტაცია–250 ათასი ლარი,
- ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის მოასფალტება –180 ათასი ლარი;
- ხობის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა–პროექტის ღირებულებაა 2 მილიონ 971 ათასი ლარი;
- 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 848.311 ლარის 73 პროექტი განხორციელდება.

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტებია:

- ზემო ქვალონის და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად 1050 მოსახლე უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს; სამუშაოების ღირებულება 499500 ლარია;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ხობისწყალზე, პროექტის ღირებულება 918510 ლარია, დასაქმებულია 20 ადგილობრივი.
- ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის გზის 10 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 5 მლნ 963 ათასი ლარია.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი შპს „საქართველოს მელიორაციის“ დაკვეთით, ჭალადიდის და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში MD მაგისტრალურ არხზე (8350 გრძივი მეტრი) ხიდების მოწყობა მიმდინარეობს. კერძოდ, აშენდება 36 ახალი (მათ შორის: 7 მძიმე ტექნიკის, 20-საავტომობილო, 9-საფეხმავლო) და კაპიტალურად გარემონტდება 9 ხიდი. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 940 000 ლარია.

გოჩა ქაჯაიას ინფორმაციით, 2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. მოხრეშვით სამუშაოებზე 340 33 ლარი იხარჯება; წყალსადენის რეაბილიტაციისთვის 5 270 ლარი; სანიაღვრე არხების გაწმენდისთვის 156 864 ლარი; ხიდ–ბოგირების რეაბილიტაციისთვის 35 909 ლარი; საბავშვო ბაღებზე 107 510 ლარი; ბიბლიოთეკებზე–20 000 ლარი, სპორტულ მოედნებზე–22 835 ლარი; ქალაქ ხობის ცენტრის კეთილმოწყობისთვის 40 018 ლარი; წისქვილების რეაბილიტაციისთვის 16 478 ლარი; მოსაცდელების მოწყობისთვის 21 000 ლარი; სასაფლაოების შემოღობვისთვის 48 657 ლარი; სასაფლაოებზე ფარდულის მოწყობისთვის 8 614 ლარი.

გოჩა ქაჯაიას განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მსხვილი პროექტებიდან აღსანიშნავია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ „რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ქვეყნის ენერგეტიკისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ახალი, 220/110 კვ-ანი ქვესადგურის „ხორგას“ პროექტი, რომლის მშენებლობაც 2015 წლის ივლისში დაიწყო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 220/110კვ ქვესადგურის მშენებლობა, რამაც გააძლიერა დასავლეთ რეგიონის უმნიშვნელოვანესი კვანძი „ვარდნილჰესი-ზუგდიდი-მენჯი-ხორგა-ფოთი-ბათუმი“.

პროექტი „აზიის განვითარების ბანკი“-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 11,9 მლნ ევრო შეადგინა. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია „Siemens“-ი აწარმოებდა. პროექტის განხორციელებისას დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა. ქვესადგურ „ხორგა“-ს მშენებლობა ქვეყნის ენერგეტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის გაზრდას.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №01-515-07

2016 წლის 17 აგვისტო

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებების საერთო კრებების განსაზღვრის შესახებ

„ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

ა) დასახლებებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა №1 დანართის შესაბამისად;

ბ) დასახლებების საერთო კრებები იმ დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება, №2 დანართის შესაბამისად;

გ) დასახლებების საერთო კრებები იმ დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 500-ს და ნაკლებია 2000-ზე, №3 დანართის შესაბამისად;

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა

№	დასახლების დასახელება	ამომრჩეველთა რაოდენობა	ადმინისტრაციული ერთეული
1	ხობი	4536	ხობი
2	ახალი ხიბულა	357	ახალი ხიბულა
3	ახალსოფელი	572	ახალსოფელი
4	ბია	385	ბია
5	ბია-საშონიო	144	ბია
6	ბულიში	374	ქვემო ქვალონი
7	ბულიწყუ	944	პირველი მაისი
8	გამოღმა პირველი ხორგა	523	პირველი ხორგა
9	გამოღმა ქარიატა	207	ქარიატა
10	გამოღმა შუა ხორგა	458	შუა ხორგა
11	გაღმა პირველი ხორგა	688	ახალსოფელი
12	გაღმა საჯიჯაო	362	საჯიჯაო
13	გაღმა ქარიატა	372	ქარიატა
14	გაღმა შუა ხორგა	393	შუა ხორგა
15	გაშფერდი	550	ახალი ხიბულა
16	გვიმარონი	299	ქვემო ქვალონი
17	გიმოზგონჯილი	596	ქვემო ქვალონი
18	დასახლება	344	ნოჯიხევი
19	დურღენა	588	ქვემო ქვალონი
20	დღვაბა	237	თორსა-დღვაბა
21	ზემო ბია	31	ბია
22	ზემო ქვალონი	131	ზემო ქვალონი
23	ზენი	106	ნოჯიხევი
24	ზენი	956	საჯიჯაო
25	ზუბი	420	საჯიჯაო
26	ზუბი	564	ახალი ხიბულა
27	თორსა	392	თორსა-დღვაბა
28	კუთხენოჯიხევი	232	ნოჯიხევი
29	ლარჩვა	1057	ხეთა
30	მეორე გურიფული	444	გურიფული
31	ნაფოშტუ	371	ნოჯიხევი
32	ნოჩხონი	328	ხეთა
33	ნოჯიხევი	1019	ნოჯიხევი
34	ოხვამეკარი	273	ხეთა
35	პატარა ფოთი	596	პატარა ფოთი
36	პირველი გურიფული	374	გურიფული
37	საალანიო-საფაჩულიო	84	ზემო ქვალონი
38	საბაჟო	1140	ჭალადიდი
39	საბუკიო	287	თორსა-დღვაბა
40	საგვიჩიო	420	საგვიჩიო
41	საკვიკვინიო	490	პირველი მაისი
42	საკუკავო	356	ხამისკური
43	საქირიო	387	ხამისკური
44	საქორქიო	15	ჭალადიდი
45	საღვამიჩაო	239	ჭალადიდი
46	საჭოჭუო	227	ჭალადიდი
47	სახოჭოლავო	288	ზემო ქვალონი
48	ყორათი	92	შუა ხორგა
49	ყულევი	241	ყულევი
50	შავღელე	461	შავღელე
51	ძველი ხიბულა	658	ძველი ხიბულა
52	წინაგოლა	572	ხეთა
53	ჭითაუშკური	257	ქვემო ქვალონი
54	ჭიხუ	318	პირველი მაისი
55	ხამისკური	554	ხამისკური
56	ხეთა	433	ხეთა
57	ჯაპიშაქარი	587	საჯიჯაო

დანართი №2

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებები იმ დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება

№	დასახლების საერთო კრების დასახელება	ადმინისტრაციული ერთეული
1	სოფელ ახალი ხიბულის საერთო კრება	ახალი ხიბულა
2	სოფელ ბიის საერთო კრება	ბია
3	სოფელ ბია-საშონიოს საერთო კრება	ბია
4	სოფელ ბულიშის საერთო კრება	ქვემო ქვალონი
5	სოფელ გამოღმა ქარიატის საერთო კრება	ქარიატა
6	სოფელ გამოღმა შუა ხორგის საერთო კრება	შუა ხორგა
7	სოფელ გაღმა საჯიჯაოს საერთო კრება	საჯიჯაო
8	სოფელ გაღმა ქარიატის საერთო კრება	ქარიატა
9	სოფელ გაღმა შუა ხორგის საერთო კრება	შუა ხორგა
10	სოფელ გვიმარონის საერთო კრება	ქვემო ქვალონი
11	სოფელ დასახლების საერთო კრება	ნოჯიხევი
12	სოფელ დღვაბის საერთო კრება	თორსა-დღვაბა
13	სოფელ ზემო ბიის საერთო კრება	ბია
14	სოფელ ზემო ქვალონის საერთო კრება	ზემო ქვალონი
15	სოფელ ზენის საერთო კრება	ნოჯიხევი
16	სოფელ ზუბის საერთო კრება	საჯიჯაო
17	სოფელ თორსის საერთო კრება	თორსა-დღვაბა
18	სოფელ კუთხენოჯიხევის საერთო კრება	ნოჯიხევი
19	სოფელ მეორე გურიფულის საერთო კრება	გურიფული
20	სოფელ ნაფოშტუს საერთო კრება	ნოჯიხევი
21	სოფელ ნოჩხონის საერთო კრება	ხეთა
22	სოფელ ოხვამეკარის საერთო კრება	ხეთა
23	სოფელ პირველი გურიფულის საერთო კრება	გურიფული
24	სოფელ საალანიო-საფაჩულიოს საერთო კრება	ზემო ქვალონი
25	სოფელ საბუკიოს საერთო კრება	თორსა-დღვაბა
26	სოფელ საგვიჩიოს საერთო კრება	საგვიჩიო
27	სოფელ საკვიკვინიოს საერთო კრება	პირველი მაისი
28	სოფელ საკუკავოს საერთო კრება	ხამისკური
29	სოფელ საქირიოს საერთო კრება	ხამისკური
30	სოფელ საქორქიოს საერთო კრება	ჭალადიდი
31	სოფელ საღვამიჩავოს საერთო კრება	ჭალადიდი
32	სოფელ საჭოჭუოს საერთო კრება	ჭალადიდი
33	სოფელ სახოჭოლავოს საერთო კრება	ზემო ქვალონი
34	სოფელ ყორათის საერთო კრება	შუა ხორგა
35	სოფელ ყულევის საერთო კრება	ყულევი
36	სოფელ შავღელეს საერთო კრება	შავღელე
37	სოფელ ჭითაუშკურის საერთო კრება	ქვემო ქვალონი
38	სოფელ ჭიხუს საერთო კრება	პირველი მაისი
39	სოფელ ხეთის საერთო კრება	ხეთა

დანართი №3

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებები იმ დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 500-ს და ნაკლებია 2000-ზე.

№	დასახლების საერთო კრების დასახელება	ადმინისტრაციული ერთეული
1	სოფელ ახალსოფლის საერთო კრება	ახალსოფელი
2	სოფელ ბულიწყუს საერთო კრება	პირველი მაისი
3	სოფელ გამოღმა პირველი ხორგის საერთო კრება	პირველი ხორგა
4	სოფელ გაღმა პირველი ხორგის საერთო კრება	ახალსოფელი
5	სოფელ გაშფერდის საერთო კრება	ახალი ხიბულა
6	სოფელ გიმოზგონჯილის საერთო კრება	ქვემო ქვალონი
7	სოფელ დურღენას საერთო კრება	ქვემო ქვალონი
8	სოფელ ზენის საერთო კრება	საჯიჯაო
9	სოფელ ზუბის საერთო კრება	ახალი ხიბულა
10	სოფელ ლარჩვის საერთო კრება	ხეთა
11	სოფელ ნოჯიხევის საერთო კრება	ნოჯიხევი
12	სოფელ პატარა ფოთის საერთო კრება	პატარა ფოთი
13	სოფელ საბაჟოს საერთო კრება	ჭალადიდი
14	სოფელ ძველი ხიბულის საერთო კრება	ძველი ხიბულა
15	სოფელ წინაგოლის საერთო კრება	ხეთა
16	სოფელ ხამისკურის საერთო კრება	ხამისკური
17	სოფელ ჯაპიშაქრის საერთო კრება	საჯიჯაო

,,ცოტნეობა–2016“ ტრადიციულად აღინიშნა

ყოველი წლის 12 აგვისტოს ხობში საოცარი განწყობა სუფევს ხოლმე. მუნიციპალიტეტი საეკლესიო-სახალხო დღესასწაულ „ცოტნეობას“ აღნიშნავს.

წლების განმავლობაში ხობში იმართებოდა ცოტნე დადიანის სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებები. ხალხური რეწვის ნიმუშების, ნახატების,ხეზე კვეთის, ფერწერული ტილოების გამოფენები.. სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებები:

სახელდახელოდ ეწყობოდა ფაცხები. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ მეგრული „დელეკატესები–ელარჯი, გებუალია“. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ფოთელები, ზუგდიდელები, სენაკელები, წალენჯიხელები, ჩხოროწყუელები. საოცარი იყო სვანების მიერ დამზადებული კუბდარი.

ტრადიცია არც წელს დარღვეულა... სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

„ცოტნეობის“ დღესასწაულს მასპინძლობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორი ლევან შონია, საქართველოს პარლამენტის წევრი, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია და სხვა ხელმძღვანელი პირები.

სტუმრებმა ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებთან ერთად დაათვალიერეს ხეივანში მოწყობილი ეთნოკუთხეები, ხალხური რეწვის ნიმუშები, მეგრული ფაცხები და სხვა საინტერესო ნაკეთობა.

სტუმრებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, იმ ადამიანების ღვაწლის დაფასება, ვინც წლების განმავლობაში იცავდა მუნიციპალიტეტის ღირსებას. ასეთი ადამიანები კი ნამდვილად დასაფასებელია. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და უშუალოდ გამგებლის ბრძანებით „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭათ: ქალბატონ მერი აბრამიას, ბატონებს: ანგულ მიქავას, საშა არჩაიას, გია გურულს.

კობა თუთბერიძეს დამსახურებულ მწვრთნელს მკლავჭიდში „ცოტნე დადიანის სახელობის პირველი ხარისხის ჯილდოს მფლობელის“ ტიტულის მოწმობა და 500 ლარი გადაეცა.

„ხობის საპატიო მოქალაქეებს“ წოდება მიულოცა ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, მწერალმა ლაშა გვასალიამ, ხობის საპატიო მოქალაქემ პირველმა ცოტნეიდელმა და ამ დღესასწაულის სულისჩამდგმელმა ნუგზარ ნადარაიამ და სხვებმა. „ცოტნეობის“ ზეიმი დაგვირგვინა, როგორც ადგილობრივი ძალებით გამართულმა კონცერტმა და მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართული ესტრადის ვარსკვლავები სოფო ბედია, ანრი ჯოხაძე, დათო არჩვაძე და ლეგენდარული ანსამბლი „ქართული ხმები“. და სხვა ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

12 აგვისტო კვლავაც ლამაზ დღედ დარჩება ხობის ისტორიაში.

ნაირა ბერაია

„ცოტნეობისადმი“ მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების ქრონიკა

ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში

მიძღვნილი გოგი ბუკიას ხსოვნისადმი

ჟურნალისტ გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში 10-12 აგვისტოს ჩატარდა, შეჯიბრებაში 64 მონარდე იღებდა მონაწილეობას, სამ–დღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და გოგი ბუკიას სახელობის თასის გამარჯვებული.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხობელი

გრიგოლ თოდუა და ნოჯიხეველი ლევან ჯანჯღავა. შეხვედრა მეტად საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა გრიგოლ თოდუას გამარჯვებით, მას მესამე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი, სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცა.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხობელები, წინა წლის ტურნირის გამარჯვებული ლაშა ვართაგავა და მალხაზ იოსავა.

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი და გოგი ბუკიას სახელობის პრიზის მფლობელი მალხაზ იოსავა გახდა.

ლაშა ვართაგავას კი გადაეცა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი, სიგელი და ფულადი ჯილდო.

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი და გოგი ბუკიას სახელობის თასის გამარჯვებული მალხაზ იოსავა დაჯილდოვდა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი პრიზით, სიგელით და ფულადი ჯილდოთი. მან ამ გამარჯვებით ჩაქვში სექტემბერში გასამართი გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის საგზური მოიპოვა.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორი ლევან შონია, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და სხვები.

გამარჯვებულები დააჯილდოა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გოგი ბუკიას ძმამ გოდერძი ბუკიამ.

ქართული ჭიდაობა

12 აგვისტოს გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრება 7 წონით კატეგორიაში ჩატარდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ.

თემურ კუპრაძე–45 კგ.
ამირან ხელაია–52 კგ.
ბაკურ ბახტაძე–60 კგ.
ნიკა ღურწკაია–66 კგ.
არჩილ ლიპარტია–74 კგ
ლევან გვარამია–80 კგ.
ვახტანგ კემულარია–+80 კგ

დაჯილდოებას ესწრებოდნენ და ჩემპიონები დააჯილდოეს სოზარ სუბარმა, გოდერძი ბუკიამ, გოჩა ქაჯაიამ, ედიშერ ჯობავამ.

წარმატებული სასწავლო წელი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო სასწავლო წელი მიილია ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრში, რომელიც“ მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებაა თავისი სტრუქტურული ერთეულებით: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სამუსიკო, სასპორტო და კომპიუტერული სკოლა. ცენტრი მრავალი მიმართულებით ემსახურება სასკოლო ასაკის ნებისმიერი ინტერესის მქონე ბავშვის არასასწავლო, თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლის შემდგომი დამატებითი განათლების მიღების საქმეს.

2015 -2016 სასწავლო წელი ტრადიციისამებრ განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა სასპორტო სკოლისთვის (მთავარი სპეციალისტი ჟ. პაჭკორია). მათ მსოფლიო, ევროპის, საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ ტურნირებში მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მოპოვებული. ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეების, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების ნუგზარ წურწუმიას, ჯონი ხეცურიანის, ირაკლი ნაკაშიას, ნიკა ყორშიას და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორების თემურ გოგოხიას, გოგა პერტახიას, გიორგი სოსელიას შედეგები იყო (მწვრთნელები: მამუკა ყორშია, სურაჯ გვასალია, ბაკურ ბუკია, ალმასხან ხუნჯუა, ზვიად ჭითაშვილი).

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ნუგზარ წურწუმიამ, რომელმაც ქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ჩემპიონობა არავის დაუთმო. ამ დღეებში ქალაქ სტოკჰოლმში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის სამი დამაჯერებელი მოგებით იასპარეზა ნიკა ყორშიამ, რომელმაც ლიტველ მოწინააღმდეგესთან მარცხი განიცადა და საბოლოოდ პირად მე-7 და საქართველოს ნაკრებთან ერთად გუნდური მე-2 ადგილი დაიკავა. განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ ნ. ყორშიას ამ ჩემპიონატში მონაწილეობა უზრუნველყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ.

სასიხარულო იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება–სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მწვრთნელ-მასწავლებელ მამუკა ყორშიასთვის საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭება.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატზე ტრიუმფალურად იასპარეზეს ჩვენმა მკლავჭიდელებმა: ანრი ბუკიამ ოქროს და ვერცხლის მედალი, გოჩა სიჭინავამ კი ვერცხლის მედალი მოიპოვეს (მწვრთნელ-მასწავლებელი კობა თუთბერიძე).

წარმატებულ ასპარეზობებს აგრძელებენ ძიუდოსა და სამბოს ჯგუფის მოსწავლეები (მწვრთნელ-მასწავლებლები რომან და მიხეილ მორგოშიები). ქალაქ მესტიაში გამართულ ლერი ნაკანის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე ჭიდაობა ძიუდოში, მოჭიდავეებმა: ირაკლი შერყილაძემ ჩემპიონობა, არჩილ ცქიტიშვილმა მეორე და იოანე ცქიტიშვილმა მესამე ადგილები მოიპოვეს, გიორგი ზარანდია კი ზუგდიდში გამართულ საერთაშორისო ტურნირ ,,კოლხეთის თასის“ პრიზიორი გახდა.

ქალაქ თერჯოლაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის მიშიკო აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე, ჭიდაობა სამბოში იოანე ცქიტიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჩემპიონატებზე და რეგიონალურ შეჯიბრებაზე საპრიზო მაჩვენებლები ჰქონდათ მძლეოსნობის ჯგუფის მოსწავლეებს, საქართველოს ნაკრების წევრს გრიგოლ ახალაიას და მარიამ შონიას. ამასთანავე, მძლეოსნობის მწვრთნელ-მასწავლებელი ინდირა გრიგოლიანცი მძლეოსნობის ფედერაციის მიერ მიწვეული იყო მძლეოსნობის ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ქალაქ თბილისში ჩატარდა.

აქტიურად წარმართავენ მუშაობას ნორჩი მოკრივეები და მწვრთნელ-მასწავლებლები (ედიკა თოდუა, თემურ აბულაძე).

ნორჩი მოკრივე, ეროვნული ნაკრების წევრი ბაკურ ჩიქოვანი (მწვრთნელ-მასწავლებელი ედიკა თოდუა) ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ჭადრაკის ჯგუფის (მწვრთნელ-მასწავლებელი ირაკლი გეთია) მოსწავლეებმა: ამირან შონიამ, ნიკა ბუკიამ, გიორგი ლატარიამ, ლიკა ჭანტურიამ, თამარ თუთბერიძემ რეგიონალურ და რესპუბლიკურ ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა და არაერთ წარმატებას მიაღწიეს.

საქართველოს ბილიარდის ფედერაციის რეიტინგის მიხედვით, მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს ნორჩი სპორტსმენი სანდრო ჩიტაია (მწვრთნელ-მასწავლებელი ლერი ბასილაია).

ნორჩ მორაგბეთა გუნდი წარმატებით ასპარეზობს საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ დასავლეთ საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა საფესტივალო ასაკების გუნდების შეჯიბრებებში და საპრიზო მაჩვენებლებიც გააჩნია (მწვრთნელები რომეო გულუა, მერაბ კიტია).

ტაეკვაონდოს ჯგუფის (მწვრთნელ-მასწავლებელი პაატა ოჩიგავა) მოსწავლეებმა ქალაქ გორსა და ზესტაფონში გამართული ღია ტურნირებზე ქრისტინა ბუკიამ ჩემპიონობა, ხოლო გიგი იოსავამ, თემურ ალანიამ, გივი ცანავამ, გურამ ალექსანდრიამ საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

სასწავლო წელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები ჩატარდა, როგორიცაა ღვაწლმოსილი პედაგოგის აკაკი (კაკო) ზარანდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მოსწავლეებს შორის ჭადრაკში, ბილიარდის შიდასასკოლო ტურნირი, დასავლეთ საქართველოს საფესტივალო ასაკების შეჯიბრი რაგბში, საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრი რბენაში, რომელიც დაფინანსდა 479 ლარით.

დღევანდელი მდგომარეობით ახალი სასწავლო წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ძიუდოს, კრივის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობისა და რაგბის ჯგუფებისთვის შეძენილია 3600 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (მთავარი სპეციალისტი აზა თათარიშვილი), მოსწავლეთა სახლის ნორჩ ჟურნალისტთა და გამომეტყველებითი კითხვის წრეების მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნა დედისა და ქალთა, ქართული ენის და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებს, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გობელენისა და ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებმა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ტრადიციული სწავლება მიუძღვნა ანიმაციის განვითარების ფონდმა ,,ექო-თოფუზმა“. სასწავლო წლის მანძილზე აქტიურ წრეობრივ მუშაობაში ჩართულია 200-ზე მეტი მოსწავლე.

კომპიუტერულ სკოლაში (მთავარი სპეციალისტი ნუნუ კილასონია) დღიდან დაარსებისა, აქტუალობას არ კარგავს ასაკობრივ ჯგუფებში სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების სწავლებასთან ერთად, ქსელური კომპიუტერული თამაშები.

კომპიუტერული სკოლა არდადეგების პერიოდში სრული დატვირთვით განაგრძობს მუშაობას.

სამუსიკო სკოლის (მთავარი სპეციალისტი თამარ ხუნწარია) მოსწავლეებმა არაერთი გეგმიური კონცერტი გამართეს სკოლის საკონცერტო დარბაზში. მათ შორისაა გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი, ნორჩ მუსიკოსთა საფორტეპიანო (პედაგოგები: ნ. მარგველაშვილი, ვ. ანთია, ჟ. ლატარია) და წლის შემაჯამებელი კონცერტები. ასევე წლის შემაჯამებელ ღონისძიებებად იქცა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და სამუსიკო სკოლის საახალწლო-საშობაო კონცერტები და ლიტერატურული კომპოზიციები.

სამუსიკო სკოლის კონტიგენტი სასწავლო წლის დასაწყისში შეადგენდა 81 მოსწავლეს, სწავლების სრული კურსი დაამთავრა 6 მოსწავლემ–ლიკა ქაქუთაიამ, ნათია ჟვანიამ, მარიამ ესებუამ, ხოლო თამარ ტურავამ, ნოდარ და ნიკოლოზ შონიებმა, წარჩინებული მოსწავლეების მოწმობები მიიღეს.

მომავალი სასწავლო წელი განსაკუთრებულად გვესახება. საქართველოს მთავრობის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ხელმძღვანელების, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ინიციატივითა და მხარდაჭერით ხობში უნიკალური სპორტული დარბაზისა და კომპლექსის აღდგენის დასაწყისი გახდება, მოხდება სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული და კულტურული ღონისძიებების პროექტების განხორციელება. ამის იმედს და შესაძლებლობას დაგეგმილი ადგილობრივი ბიუჯეტი გვაძლევს, რაც უდიდესი მოტივია მნიშვნელოვანი და წარმატებული მომავლისა.

ხათუნა ხორავა,
ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორი.

„წარმატებული ხობელები ხობს გარეთ“

თავიდანვე მივიღე გადაწყვეტილება ეს სტატია შორს უნდა მდგარიყო სახოტბო ჟანრისგან, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ წარმატებებზე და შედეგებზე უნდა მელაპარაკა. მსურდა მიმეღო ცოცხალი, საინტერესო, შინაარსიანი და დამაფიქრებელი ინტერვიუ, რომელიც გაზეთის მკითხველს გააცნობდა ერთ-ერთ წარმატებულ ხობელს. მოლოდინმა გაამართლა. ჩვენი რუბრიკის „წარმატებული ხობელები ხობს გარეთ" სტუმარია ახალხიბულელი მურთაზ კვირკვაია.

თუ მოინდომებ, ყველა მიზანი მიღწევადია

გაეცანით მკითხველს.

–გახლავართ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. ვარ ილიას უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გამოქვეყნებული მაქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ვმუშაობდი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კავკასიის აკადემიურ ცენტრში სხვადასხვა ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე. ვიყავი USAID-ის, EWMI-ის, UNDP-ის და სხვა ფონდებიდან დაფინანსებული პროგრამების და პროექტის ხელმძღვანელი, გრანტის მენეჯერი, პროექტის ლიდერი, კოორდინატორი, დასაქმების ექსპერტი და ა.შ.

ოქვენი მამისეული ოჯახი.

–დავიბადე და გავიზარდე სოფელ ახალ ხიბულაში. მამა ოთარის და დედა ცაბალა ვეკუას შრომის მოყვარე ოჯახი ჰქონდათ. ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი ვარ. არასოდეს დამავიწყდება ბავშვობის წლები და შეხმატკბილებული ცხოვრების ატმოსფერო, რომელიც ჩვენს ოჯახში სუფევდა. მშობლებმა კარგად იცოდნენ ცოდნის მნიშვნელობა და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ შვილებისთვის განათლების მისაღებად ნორმალური პირობების შესაქმნელად. ხშირად მახსენდება მამაჩემის საუბრები ცოდნის მნიშვნელობაზე, რომელიც მან თავისი, საკმაოდ რთული ცხოვრებისეული გამოცდილებით შეიძინა.

ბავშვობა...

–სკოლაში გატარებული წლები საუკეთესო პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. ძალიან გამიმართლა და პირველივე კლასიდან საუკეთესო პედაგოგები მასწავლიდნენ. სკოლის დამთავრებიდან 25 წელი გავიდა და დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახალი ხიბულის პირველი საჯარო სკოლა იმ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო საქართველოში არსებულ საშუალო სკოლებს შორის. გარდა იმისა, რომ სკოლას ყავდა უმაღლესი კვალიფიკაციის ხელმძღვანელობა და პედაგოგები, მოსწავლეები ჩვენი მასწავლებლებისგან ყოველდღე ვხედავდით ცოცხალ მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული ადამიანი და როგორ უნდა აკეთოს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები.

მეამაყება, რომ ძალიან მეგობრული კლასი მყავდა. დღემდე ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს კლასელებს და არ გვავიწყდება ერთად გატარებული სკოლის წლები.

პროფესიის არჩევა და სტუდენტობის წლები

–ბავშვობიდან ტექნიკური საგნების მიმართ მქონდა ინტერესი. ალბათ, ამ ფაქტორმა და უახლესი გარემოცვის რჩევამ განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანიც ეკონომიკის და მენეჯმენტის მიმართულებით. უმაღლესი განათლება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ამავე უნივერსიტეტში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ამ მიმართულებითაც გამიმართლა და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ძალიან ბევრ პროფესიონალ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა. სამწუხაროდ, ჩემი სტუდენტობის წლები საქართველოში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა (სამოქალაქო ომი, აფხაზეთის და შიდა ქართლის მოვლენები). მაგრამ, ძალიან სასიამოვნოა, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს შეუდარებლად მეტი შესაძლებლობები აქვთ სწავლისთვისაც და ნორმალურ გარემოში ცხოვრებისთვისაც.

განათლებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ რომელ სხვა აქტივობას გამოყოფდით?

–საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება მომცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სასწავლო, სამსახურებრივ და განვითარების პროგრამებში მონაწილეობამ. განსაკუთრებით გამოვყოფდი 2009-2010 წლებში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ნებრასკის, კანზასის, ვისკონსინის უნივერიტეტებში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის უფრო ადრეულ პერიოდში გერმანიაში, მომავალ ლიდერთა აკადემიაში მიღებული უნარები, შვედეთის მთავრობის პროგრამით, სტოქჰოლმის და შვედეთის რეგიონებში გარკვეული პერიოდით ყოფნა და მათი ეკონომიკური განვითარების საკითხების შესწავლა. ღირებული იყო ისრაელის მთავრობის მხარდაჭერა, რომელმაც საშუალება მომცა არავას ინსტიტუტში პროფესიულ გამოცდილების გარდა ბევრ სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე ჩამომეყალიბებინა ჩემი ხედვა. ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირის პროექტებს, რომელიც საქართველოს ბევრ მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს ევროპულ გამოცდილებას სხვადასხვა სფეროში. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ჩართული ვიყავი აკადემიური და ადმინისტრაციული მობილობის პროცესში და მიმაჩნია, რომ პორტოს უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილება და ახალი კავშირების დამყარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით.

ნაბიჯები, რომლითაც აღწევდით მიზანს და რა მიგაჩნიათ ოქვენი საქმიანობის მთავარ შედეგად?

–ნებისმიერი მიზანი მიღწევადია თუ ადამიანს გაუმართლა და ისეთ საქმეს აკეთებს, რომელიც მას უყვარს. მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა ის თვისებებია, რომელიც ეხმარება ადამიანს ნებისმიერ საქმიანობაში. ჩემი მუშაობის მთავარ შედეგად მიმაჩნია სტუდენტები, რომლებიც წარმატებებს აღწევენ თავიანთ საქმიანობაში. რომელი სიტყვა უფრო შეეფერება არ ვიცი, სიამაყე თუ კმაყოფილება, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემი ყოფილი სტუდენტების წარმატებებზე ვისმენ ინფორმაციას.

ადამიანები, რომლებმაც გავლენა იქონია ოქვენზე?

–ძალიან ბევრ კარგ ადამიანთან მქონდა და მაქვს ურთიერთობა. ბევრი მათგანის რჩევამ, თანადგომამ, ნააზრევმა, პირადი ცხოვრების მაგალითმა დიდი, პოზიტიური ზეგავლენა იქონია ჩემს პიროვნებაზე და საქმიანობაზე. ყველა ჩვენთაგანმა ძალიან კარგად იცის, რომ ნებისმიერი ადამიანი რაღაცით მაინც გვჯობია ან რაღაცა მაინც ჩვენზე უკეთესად იცის. ამიტომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის მეტი ყურადღების დათმობას ყოველთვის სასურველ შედეგებამდე მივყავართ, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საქმიანობის სფეროში.

წინააღმდეგობები? როგორ გადაგილახავთ იგი?

–ვერ ვიტყვი, რომ გამოწვევები ცოტა იყო ჩემს ცხოვრებაში. ალბათ დამეთანხმებით, რომ სოფლიდან სასწავლებლად წასულ ყველა ახალგაზრდას დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად და ახალ გარემოში ადაპტაციისთვის. გამოწვევები და პასუხისმგებლობა გაცილებით მეტია, როცა უცხოეთში გიწევს გარკვეული საქმიანობა, მაგრამ თითოეული გამოწვევა ერთგვარი ახალი გამოცდილება და შესაძლებლობფა, რომლის ნაწილის გამოყენებაც ალბათ შევძელი. ახლა უკვე კარგად ვიცი, რომ წინააღმდეგობები მომავალშიც გარდაუვალია, თუმცა ვიმედოვნებ, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, სამომავლო გამოწვევები უფრო ნაკლებად მტკივნეული იქნება.

რას ეტყვით ახალგაზრდებს? რაში მდგომარეობს წარმატების საიდუმლო?

–ყოველწლიურად ვხვდები ათასობით აბიტურიენტს და სტუდენტს. საბედნიეროდ, საუკეთესო თაობები მოდის. ჩემი რჩევაა ახალგაზრდებმა სწორად შეარჩიონ თავიანთი ინტერესის სფერო და გაუფრთხილდნენ მათ ხელში არსებულ ყველაზე ძვირადღირებულ რესურსს–დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველა მიზანი მიღწევადია. დასახული მიზნის მისაღწევად ახალგაზრდებმა შეიძლება მცირე, მაგრამ აუცილებლად ყოველდღიურად რაღაცა უნდა გააკეთონ. დიდი შედეგის მიღწევა, მხოლოდ ეტაპობრივი, მცირე წარმატებებით არის შესაძლებელი.

დღეს არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიები, მიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში, ნებისმიერ ახალგაზრდას თავისი პოტენციალის რეალიზაციის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს აძლევს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთადერთი რესურსი განათლებაა. ამიტომ, ახალგაზრდები, რომლებიც თანამედროვე განათლების მისაღებად შრომობენ, უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებენ საკუთარი და ამავე დროს ქვეყნის მომავლისთვის.

ღირებულებები, რომლითაც ცხოვრობთ? როგორ ადამიანებთან არჩევთ ურთიერთობებს?

–ნებისმიერ ადამიანი გულწრფელი უნდა იყოს. ეს თვისება გვეხმარება ნაკლებად მტკივნეული იყოს ჩვენი შეცდომების შედეგები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ვუშვებთ ხოლმე. ჩემი გამოცდილებით გულწრფელი ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, ისინი მეტ შედეგებს აღწევენ სამსახურებრივ საქმიანობაშიც და პირად ცხოვრებაშიც. თუ არჩევანის შესაძლებლობა მაქვს, ყოველთვის გულწრფელ ადამიანებთან ურთიერთობას ვანიჭებ უპირატესობას.

როგორია თქვენი ოჯახი? რაში მდგომარეობს ჰარმონიული ოჯახის საიდუმლო? როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე?

–მე, ჩემი მეუღლე ნინო და ჩვენი 8 წლის შვილი სანდრო, ერთი პატარა ტრადიციული ოჯახის წევრები ვართ. ოჯახის პირობით დღის წესრიგს, სანდრო „განსაზღვრავს“ ხოლმე. როდესაც მე და ნინო სამსახურიდან ვბრუნდებით, ხოლო სანდრო სკოლიდან, ისე ვხვდებით ერთმანეთს, უცხო ადამიანმა რომ დაგვინახოს იფიქრებს, ალბათ დიდი ხანია ოჯახის წევრებს ერთმანეთი არ უნახავთო. სანდროს, სიტყვა „პროფესორი“, ყველაფრის მცოდნე ჰგონია. ამიტომაც, როცა მამა მის რომელიმე შეკითხვას ვერ პასუხობს, სანდრო ირონიული გამომეტყველებით ეუბნება–**„აბა რისი პროფესორი ხარ მამა ეს თუ არ იცი!“**. სანდროს არც თუ ისე მარტივი შეკითხვები აქვს ხოლმე და ეს იმედს გვაძლევს, რომ იგი თავის მშობლებზე უფრო ჭკვიანი იქნება.

ოცნება...

–ძალიან დიდი ოცნება და სურვილი მაქვს ჩემმა შვილმა და მისმა თაობამ ისეთ საზოგადოებაში იცხოვრონ, სადაც ადამიანები უფრო ბედნიერები იქნებიან, ვიდრე ეს ჩემი და ჩემი მშობლების თაობის შემთხვევაში იყო.

დღეს რა კავშირი გაქვთ ხობთან? რას ეტყვით ხობელებს?

–ხობი თავისი კულტურით, ისტორიით, სტუმართმოყვარეობით, ულამაზესი ადგილებით და შესანიშნავი მაცხოვრებლებით საამაყო ადგილია თითოეული ხობში მცხოვრებისთვის და ხობიდან წასული ადამიანებისთვის. ხობთან დაკავშირებული საკითხები ხშირი საუბრის თემაა ჩემს მეგობრებთან. ხოლო უცხოელებს როცა პირად საუბარში ემოციურად ვუყვები საქართველოზე, ხობზე, ხიბულაზე, ხობისწყალზე და განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში მის სილამაზეზე, ყველა მათგანს მისი ნახვის სურვილი უჩნდება.

ხობში ბევრი მეგობარი და ახლობელი მყავს. დედაჩემი და ჩემი ძმა ოჯახთან ერთად ხობის რაიონში ცხოვრობენ. ბუნებრივია, ჩემს მშობლიურ რაიონთან მაქვს და მთელი ცხოვრება მექნება ურთიერთობა. უფრო მეტიც, წელიწადში ერთხელ მაინც თუ ვერ მოვახერხე გარკვეული დროით ხობში ჩამოსვლა, შინაგანდ უკმაყოფილებას ვგრძნობ ხოლმე.

ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეთ?

–ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე პროფესიულ საქმიანობას იგივე მიმართულებით ავირჩევდი, მაგრამ უფრო მეტად მოვეფერებოდი იმ საყვარელ ადამიანებს, რომლებიც მოულოდნელად წავიდნენ ჩემი ცხოვრებიდან.

საყვარელი სტრიქონით დაგვემშვიდობეთ

–თქვენ და ყველა ხობელს ვუსურვებ წარმატებებს. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
მანანა შულაია.

ჩვენი გაზეთის სტუმარი გახლავთ, ხობელებისთვის კარგად ნაცნობი, თაობების აღმზრდელი, ენერგიული და შრომისმოყვარე, ხობზე და ხობელებზე შეყვარებული პედაგოგი, ალექსანდრე (საშა) არჩაია, რომელსაც წელს „ცოტნეობის“ დღესასწაულზე, „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭა.

თუ როგორი იყო მის მიერ განვლილი გზა, რა არის მისთვის ხობელობა და ეს წოდება, ამაზე ჩვენს ინტერვიუში შეიტყობთ.

„ჩემი ხობი სამეგრელოს ხერხემალია“

ბატონო საშა, როგორია თქვენს მიერ დღემდე გამოვლილი გზა?

–გმადლობთ, რომ დაინტერესდით ჩემი პიროვნებით. ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ბავშვობის წლებში ეყრება საფუძველი პიროვნების ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებას, ზნეობრივ-მორალურ თვისებებს, ხასიათს და ნებისყოფას. ამიტომ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ მოზარდს ამ თვისებების ჩამოყალიბებისთვის. ჩემი მშობლები, რომლებიც საკოლმეურნეო მოძრაობის აქტიური წევრები იყვნენ, მუდამ გვინერგავდნენ შრომისადმი და მოყვასისადმი სიყვარულს. ამიტომ სრულწლოვანი ისე გავხდი, რომ ასაკის შესაბამისად გარკვეული შრომითი უნარჩვევები და ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ ადამიანური დამოკიდებულება გამაჩნდა.

დავბადებულვარ 1941 წელს. 1958 წელს დავამთავრე საშუალო სკოლის სრული კურსი. რადგან მაშინდელი განათლების კანონის თანახმად აბიტურიენტს უნდა ჰქონოდა მუშაობის სტაჟი, ერთი წელი ფიზიკურად ვიმუშავე, ჩავბარე მისაღები გამოცდები სოხუმის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ქ. ხობის №2 საშუალო სკოლაში დავიწყე. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი №43 საკავშირო სპორტინტერნატის დირექტორად, №2 საშუალო სკოლის დირექტორად, სოფელ ნოჯიხევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ქ.ხობის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამჯერად ვემსახურები ჩემს საყვარელ პროფესიას რასაც მასწავლებლობა ჰქვია.

თქვენი ოჯახი...

–მყავს მეუღლე–პედაგოგი ეთერ ესაკია, ოთხი შვილი, (ყველა დაოჯახებული) და შვიდი შვილიშვილი.

მასწავლებლობა რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, წლებია ამ პროფესიას ემსახურებით, როგორ დაიწყო თქვენი კარიერული წინსვლა?

–გეთანხმებით, მასწავლებლობა მეტად რთული, საპასუხისმგებლო, მაგრამ საინტერესო პროფესიაა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ამ პროფესიას ვემსახურები. თავიდან, რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი. მასწავლებლად უნდა დაიბადო. უნდა შეგეძლოს მოზარდის სულიერ სამყაროში ღრმად წვდომა.

პედაგოგის მუშაობა კოლოსალურ ენერგიას, შრომას მოითხოვს. „მასწავლებელო! მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი!“ ამ სიტყვებმა გასული საუკუნის 70-იან წლებში გაიჟღერა, მაგრამ მე ამას ვგრძნობდი ჩემი მოსწავლეობის წლებში, როცა ჩემი აღსაზრდელების ტიტანურ შრომას ვუყურებდი, სწორედ ამიტომ შემიყვარდა ეს პროფესია. როგორ სიამაყეს ვგრძნობ, როცა ჩემი პედაგოგებიდან დღეს 7 ცოცხალი მყავს. მათთან ხშირი კონტაქტი მაქვს. ყოველი შეხვედრა გარკვეულ სტიმულს მაძლევს მუშაობაში და ახალ-ახალი წარმატებებისკენ განმაწყობს.

წლების განმავლობაში სკოლის დირექტორი ბრძანდებოდით, რა პარალელების გავლება შეგიძლიათ დღევანდელ და წლებისწინანდელ სკოლას შორის?

–თანამდებობა ჩემთვის თვითმიზანი არასდროს ყოფილა, მაგრამ რიგით მასწავლებელს დიდი ტრადიციების მქონე სკოლის დირექტორობა შემომთავაზეს, სხვათაშორის, ეს პედაგოგებისა და მშობელთა აქტივის მოთხოვნა იყო. გზაჯვარედინზე დავდექი, დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება.

დირექტორად 26 წელი ვიმუშავე. ალბათ ამ რეკორდს ვერავინ მოხსნის. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს და პარალელებს, გეტყვით, ცხოვრება წინ მიდის და იგი სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს სკოლას და სწავლა-აღზრდის მთავარ ფიგურას მასწავლებელს. დღეს მოზარდი სწრაფი, მოზღვავებული ინფორმაციის საუკუნეში ცხოვრობს. დღევანდელი მასწავლებლის მოვალეობაა მოზარდს ახალი სწავლების ტექნოლოგიებით ასწავლოს და ჩაუნერგოს ამ მოზღვავებულ ინფორმაციებში გარკვევის და სწორი დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები.

დღევანდელ თაობაზე რა აზრის ბრძანდებით?

–მე მიყვარს და მომწონს დღევანდელი თაობა. ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ალბათ ფეხი ვერ აუწყო დროთა მდინარებას, ვერ მონახა ალხალგაზრდების გულთან მისასვლელი გზები. ცივილიზაციამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია და არც დღევანდელი საქართველო იქნება მოვლენების მიღმა, ეს უბრალოდ იქნებოდა კარჩაკეტილობა. მეორე საკითხია, რომ ყველამ უნდა შევინარჩუნოთ მდიდარი ეროვნული, მამა-პაპური ტრადიციები. ერთი სიტყვით, ცივილიზაციამ ეროვნული თვისებები არ უნდა დაგვიზიანოს. მე მჯერა და ღრმად მწამს, რომ ჩვენს დღევანდელ თაობას გაცნობიერებული აქვს „ძლევაი საკვირველის“, თამარის ოქროს ხანის, ჭყონდიდელის მწიგნობრობის, ცოტნეს ერთგულებისა და თანადგომის, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული მრწამსისა და პატრიოტული სულისკვეთების მნიშვნელობა და იგი მათ გმირულ ნაკვალევზე ივლის.

რას ნიშნავს თქვენთვის ხობელობა?

–ხობში დავიბადე და გავიზარდე. მთელი შეგნებით ხობელი ვარ. პატარა, რომ ვიყავი, გული მიკვდებოდა როცა ხობს ალფავიტის გამო სულ ბოლოში ახსენებდნენ. კიდევ კარგი, რომ ამ მავნე ტრადიციას ბოლო მოეღო. დღეს ჩემს მშობლიურ ხობს მოწინავეთა რიგებში ვხედავ. ხობი ხომ გეოგრაფიული მდებარეობით კოლხეთის გულია, თუ სამეგრელო საქართველოს ხერხემალია, მაშინ ჩემი ხობი სამეგრელოს ხერხემალია.

„ცოტნეობის“ დღესასწაულზე საპატიო ხობელის წოდება მოგენიჭათ, რა გრძნობა დაგეუფლათ?

–ჩემთვის დიდი პატივი იყო ეროვნულ დღესასწაულზე, „ცოტნეობაზე“ ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება. ეს ჯილდო ჩემი მეგობრების, ამხანაგების და ყველა იმათი დამსახურებაა, ვინც მხარში მედგა ჩემი ცხოვრების მანძილზე, სასიკეთო საქმეებისთვის ბრძოლაში. ჩემთვის დიდი პატივი იყო აგრეთვე, სახელოვანი ადამიანების გვერდით დგომა:

მერი აბრამია–ჩემი მასწავლებელი, ხობელების საამაყო პიროვნება.

ანგული მიქავა–ყველა ხობელისთვის საყვარელი ადამიანი, ნაღდი და უღალატო კოლხი, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ხობის აღმშენებლობაში. ეს ჯილდო ბევრს მავალებს და სტიმულს მაძლევს უფრო მეტი გავაკეთო ხობისა და ხობელების საკეთილდღეოდ.

პრესის საშუალებით უღრმესი მადლობა დიდი ჯილდოს მოლოცვისთვის. ვეცდები მათი სურვილები გავამართლო.

ხობელობა იგივე ქართველობაა, მამულიშვილობაა, რომელიც ასოცირდება სამეგრელოს ულამაზეს კუთხესთან.

მეტს გავალებს ენერგიის მაქსიმუმი გაიღო და ენთუზიაზმით იცხოვრო შენი მშობლიური ხობისა და ხობელების საკეთილდღეოდ.

ესაუბრა
ნინო გერგაია

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით

აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართი № 1

№	დასახელება	სავარაუდო წონა (ტონა)	სავარაუდო ღირებულება	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1	ჯართი ჰ/მაისის საბავშვო ბაღში	1,4	70	7	7	20
2	ჯართი ზუბის სასოფლო კლუბში	4	240	24	24	20
3	საფეხბურთო მოედნის დემონტაჟის შედეგად მიღებული ჯართი.	100	14000	1400	1400	20

დანართი №2

მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	1 კვ. მ ფართის ღირებულება ლარი	გასხვისების ვადა წელი	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა თვეში ლარი	ბე 10 %	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა	I	139.48	82	5	40	381.24	38.10	38.10	20
ც. დადიანის ქუჩა №185 მდებარე ადმინისტრაციული შენობა	IV	30.68	67	1	30	51	5,1	5,1	20
		19,25	67	1	30	32	3,2	3,2	20
		18,9	67	1	30	32	3,2	3,2	20
		18,9	67	1	30	32	3,2	3,2	20
		9,1	67	1	30	15	1,5	1,5	20
		6,6	67	1	30	11	1,1	1,1	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 5 სექტემბერი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა არ თმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში.

საკონტაქტო პირი–**ლამზირა თოდუა**. ტელ-599-85-60-91.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სულთათანა

ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავა

სამი წელი, სხვისთვის არც თუ ისე დიდი, შენი ახლობლებისთვის კი გაუსაძლისი წელი, თვალსა და ხელს შუა გაფრინდა თითქოს.

მიჭირს შენზე ფიქრი, მით უფრო წარსულ დროში. შენ ხომ ლაღი, მხიარული, სიკეთითა და სიცოცხლით სავსე იყავი, მხოლოდ 17 წლის, ნორჩი ფეხბურთელი, ზრდილი და ნიჭიერი, შენი მწვრთნელების იმედი...

აგვისტოს ხვატი იდგა, მდინარე ტეხურმა ჩაგიხუტა გულში, ვერ შეგელია, უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოგეჭრა... იმ ერთმა დღემ შეცვალა შენი ბედნიერი ოჯახის ცხოვრება... უმძიმესი და შემზარავი იყო ის დღე ჩემთვის, მე ხომ შენი პირველი მასწავლებელი ვიყავი, იმ პატარა ბიჭის, რომელიც ასე ძალიან მიყვარდა. თვალწინ კინოკადრებივით გაიელვა შენი ხანმოკლე ცხოვრების ყოველმა დეტალმა. როგორ ვიწამო და დავაჯერო თავი იმაში, რომ უფალს საუკეთესოები თავისთან მიჰყავს. ნუთუ ეს შვებაა შენი დედისთვის, რომელსაც თვალზე ცრემლი არ შეშრობია...

ნუტი, შენთვის აგვისტო განსაკუთრებული თვე იყო, 29-ში დაბადების დღეს ზეიმობდი, წელს უკვე მესამედ მოვალთ და საფლავზე მოგილოცავთ ამ დღეს, კიდევ ერთხელ მოვეფერებით შენს ხატებას ჩემო საყვარელო, ცხოვრების დინება არ წყდება, უღიმღამოდ მოვიდა შენს სახლშიც დიდი სიხარული, შენმა ერთადერთმა და მაიკომ ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა, შენი წილი დარდი და მწუხარება უფალმა სიხარულად შეუცვალა. დიდი მისია დაეკისრა, შენს მშობლებს მან უნდა შეუვსოს შენით გამოწვეული სიცარიელე. ხომ გჯერა, რომ შეძლებს, მან ეს უშენოდ სამწლიანი ცხოვრებით დაამტკიცა. გჯეროდეს, არასოდეს ამოიშლები შენი ახლობლების და მეგობრების გულებიდან.

უფრო მეტად გვიყვარხარ, გვენატრები და ვეფერებით შენს სახელს.

უფალმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს ჩემო საყვარელო, ნუტი. მჯერა, შენ ხარ ის ანგელოზი, რომლის ყოლა უფალმა თავისთან ინება.

ნანა პაპაშა,
ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი.

მერაბ და გია კოდუები

ჩემო საფიცარო და უსაყვარლესო შვილებო! გაუსაძლისი გამიხდა თქვენთან განშორება. უთქვენოდ ტკივილიანი წლები მომისაჯა განგებამ. ან არადა სულ როგორ უნდა ვსულვდგმულებდე შვილმკვდარი ბიჭების დედა. ეს უდიდესი, ენით გამოუთქმელი სატანჯველია, შვილებო.

თქვენს შემდეგ სიცოცხლე სულ არ მინდოდა, დედი. რისთვის და ვისთვის მეცოცხლა, მაგრამ ვარ ცოცხალი და უთქვენობა მტკივა, რომელიც რაც დრო გადის, უფრო მძაფრდება და გაუსაძლისი ხდება.

და მაინც ვარ. ალბათ განგებამ იმიტომ დამტოვა, რომ მოვუარო ჩემთვის ძვირფას საგანძურს–თქვენს საფლავებს. აგინოთ წმინდა სანთლები თქვენი სულების საოხად და მოგეფეროთ, ვილოცო და ვიტანჯო უთქვენოდ.

გია 7 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, რა ბედნიერი ვიყავი, რომ თქვენ, ორივენი მოევლინეთ ჩვენს ოჯახს... ჯერ იყო და მერაბმა დამტოვა და გულში უდიდესი ძარღვი ჩამწყვიტა, შემდეგ კი შენ, დედი, ჩემო სიცოცხლეებო. დავდივარ, ვარსებობ, მაგრამ გჯეროდეთ, ყოველი ლუკმა თუ წვეთი წყალი ჩემთვის შხამია.

და მაინც ვარ ცრემლიანი, ტკივილიანი და დარდიანი.

გილოცავ შვილო დაბადების დღეს. ჩემთვის შენ და შენი ძმა უდიდესი ბედნიერება იყავით და ხართ, თუმცა მიმატოვეთ და წახვედით...

ახლა 7 სექტემბრის მოსვლის მეშინია. ის ხომ შენი დღეა, შემდეგ 12 იანვარი–მერაბ, შენი დაბადების დღე მოვა. თქვენს სულებს ვენაცვალე, შვილებო.

იცოდეთ, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ.

დედა სვეტა კაკულია.

„ცოტნეობისადმი“ მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების ქრონიკა

ლელობურთი

ლელობურთში შეჯიბრება გაიმართა 4 ზონად (შ/ხორგა, საჯიჯაო, ხობი, ხეთა). ზონებში გამარჯვებულები გადიოდნენ ნახევარფინალში. შუა ხორგის ზონიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა პატარა ფოთის, ხეთის ზონიდან თორსის, საჯიჯაოს ზონიდან–ახალი ხიბულის, ხოლო ხობის ზონიდან ნოჯიხევის გუნდებმა.

12 აგვისტოს გაიმართა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები.

ნახევარფინალში პატარა ფოთის გუნდებმა დაამარცხა თორსის გუნდი და გავიდა ფინალში, მეორე ნახევარფინალში ახალი ხიბულის გუნდმა შეძლო ნოჯიხეველთა დამარცხება და ისინიც გავიდნენ ფინალში.

მესამე ადგილი დაიკავა თორსის გუნდმა, რომელსაც გადაეცა მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი. ფინალური მატჩში პატარა ფოთელებმა დაჯაბნეს ახალხიბულელები და გახდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონები.

მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ ახ. ხიბულის ლელობურთელები.

მუნიციპალიტეტის ჩემპიონები–პატარა ფოთელები დაჯილდოვდნენ პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

12 აგვისტოს „ცოტნეობის“ დღესასწაულზე ასევე გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პირველობის ნახევარფინალური და ფინალური მატჩები ლელობურთში. პირველი ნახევარფინალური შეხვედრის დაწყებამდე ხობელ ლელობურთელებს განათლების ცენტრის მოსწავლეებს სათამაშო ფორმები და ბურთები გადასცეს. ბატონებმა გოდერძი ბუკიამ, ლევან შონიამ, სოზარ სუბარმა, გოჩა ქაჯაიამ, ედიშერ ჯობავამ. გენერალმა გიორგი სურმავამ და სხვებმა.

ნახევარფინალში დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხეს ზუგდიდის ლელობურთელთა გუნდი და გავიდნენ ფინალში, ხოლო მეორე ნახევარფინალში ფოთელებმა ადვილად შეძლეს სენაკელთა დამარცხება და ისინიც ფინალში გავიდნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში ზუგდიდელებმა დაამარცხეს სენაკელთა გუნდი და მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით დაჯილდოვდნენ.

ფინალში ფოთისა და ხობის ლელობურთელთა შეხვედრაში ფოთელებმა შეძლეს მასპინძელთა დამარცხება და გახდნენ რეგიონის ჩემპიონები.

ამრიგად მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ ხობელი ლელობურთელები.

რეგიონის ჩემპიონებს ფოთელ ლელობურთელებს გადაეცათ პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა დავით კილასონიამ სპეციალური-პრიზებით დააჯილდოვა შეჯიბრებაში მონაწილე ოთხივე გუნდი, ბატონმა დავით კილასონიამ მუნიციპალიტეტში რაგბისა და ლელოს განვითარების ხელშეწყობისთვის დააჯილდოვა რეგიონის ლელოს ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი ბატონი ედიშერ ჯობავა.

ბატონ სოზარ სუბარს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ გადასცა ცოტნეობის დღესასწაულისთვის განკუთვნილი სპეციალური საჩუქარი.

ჭადრაკი

„ცოტნეობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით 10-12 აგვისტოს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის აბსოლუტური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა მოჭადრაკეები. 3 დღიანმა ორთაბრძოლებმა გამარჯვებულები გამოავლინა.

მესამე ადგილი დაიკავა რომანოზ ჯგერენაიამ, რომელიც დაჯილდოვდა მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ლატარაია, რომელიც ასევე დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა ვეტერანი მოჭადრაკე ბადრი ლომაია, რომელმაც ღირსეულად გაიმარჯვა. მას გადაეცა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები–საუკეთესო უხუცესი მონაწილის პრიზით დაჯილდოვდა ბადრი ლომაია, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის პრიზი გიორგი ლატარიას ერგო.

ლევან ლემონჯავა

ბოლოცვები

ალექსანდრე (საშა) არჩაიას

ქ. ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას პირადად თქვენ და თქვენთან ერთად ვულოცავთ ღირსეულ პიროვნებებს ქალბატონ მერი აბრამიას და ბატონ ანგული მიქავას.

ბატონო საშა, თქვენ ხართ ძირძველი ხობელი, საუკეთესო და მზრუნველი მეგობარი, რომელსაც მავანთა ჭირსა და ლხინში თანადგომა ცხოვრების წესად გაუხდია. გარშემო მყოფ ადამიანებს ავსებთ სიცოცხლის რწმენითა და ხალისით.

გვეამაყებით, გვიყვარხართ, გვეიმედებით, გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს. წარმატებებს საზოგდოებრივ საქმიანობაში. უეჭველია, თაობების აღმზრდელს უფალი დიდი ხნის სიცოცხლით დაგაჯილდოვებთ.

სიყვარულით და პატივისცემით უახლოესი ადამიანები, ნაღდი ხობელობის პრეტენზიით: გურამ კვიპვინია, ბადრი ლომაია, ხვიჩა შონია, რომან ჯგერენაია, ზური ბებურია, ილო ნანეიშილი, რევაზ გიორგაძე, დემურ ბუკია, ენვერ ნოდია, აჩიკო შამუგია, რადიონ აკობია, მამუკა გეთია.

ეთერ ესაკია-არჩაიას

გილოცავთ დაბადების დღეს და 70 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდი ხნის სიცოცხლეს ჩვენთან ერთად. უფალს ვთხოვთ, არ მოგვაკლოს თქვენი სითბო და სიყვარული, დიდხანს იცოცხლეთ მისი მფარველობით.

ულევი სიხარული დაგებედოთ ყველგან და ყველაფერში.

სიყვარულით: მეუღლე, შვილები, შვილიშვილები

იდღეგრძელეთ!

ერთ-ერთი გამორჩეული, ტრადიციული და ულამაზესი ქართული ოჯახის დედაბოძს, ქალბატონ ეთერ ესაკიას და ალექსანდრე არჩაიას მინდა ღირსშესანიშნავი თარიღები მივულოცო და საუკეთესო სურვილები ვუსურვო.

ქალბატონ ეთერ ესაკიას, ყველაზე სათნო ქალბატონს, ულამაზეს ქალს, არაჩვეულებრივ დედასა და ბებიას, ჩემს უფროს მეგობარს ვულოცავ 70 წლის იუბილეს, ხოლო ბატონ ალექსანდრე არჩაიას „ხობის საპატიო მოქალაქის წოდებას“. ბატონო ალექსანდრე, თქვენ ღირსეულად დაიმსახურეთ ეს ტიტული.

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიკეთეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს, დაე, თქვენი კეთილი გული კიდევ მრავალი წელი ფეთქავდეს იმ ადამიანების იმედად, ვისაც ძალიან უყვარხართ. გისურვებთ მხნეობას და დიდიხნის სიცოცხლეს.

ჩემო ძვირფასო ადამიანებო, იდღეგრძელეთ!

დიდი სიყვარულით

ლალი შალამბერია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი ეპეჭო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.